პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ივნისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 106 (9773) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა









### ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები




# უნივერსალური ვასილ დავიდენკო

ამჯერად ტრადიცია უნდა დავარღვიოთ და მრავალდღიან ველორბოლაზე საუბარი ტექნიკური შედეგებით დავიწყოთ. **III ეტაპი.** ვანი — ქუთაისი — სამტრედია — ვანი. **პირადი ჩათვლა.** 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო), 2. მაქსიმ კრიკლივი (ლენინგრადი), 3. ალექსანდრე ოსიპოვი (რუსეთის ფედერაცია). დრო სამივეს ერთნაირი აქვს — 2:09.29.

**გუნდური.** 1. ლენინგრადი — 6:28.29, 2. ლატვია — 6:28.30, 3. რუსეთის ფედერაცია — 6:28.31.

**IV ეტაპი.** ზესტაფონი — გორი. **პირადი ჩათვლა.** 1. ევგენი მოსკალიოვი (ყაზახეთი), 2. დმიტრი ბადინი (მოსკოვი), 3. ვასილი დავიდენკო (საქართველო), დრო სამივეს ერთნაირი აქვს — 3:17.53.

**გუნდური** 1. მოსკოვი — 9:53.39, 2. საქართველო — 9:53.41, 3. ლატვია — 9:53.42.

**ოთხი ეტაპის ჯამში. პირადი ჩათვლა.** 1. ვიქტორ სოლოვიოვი (უკრაინა, ხარკოვი) — 11:50.36, 2. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 11:50.52, 3. გარი კეხბა (საქართველო) — 11:51.25, 4. სერგეი სპირიდონოვი (რუსეთის ფედერაცია, გორკი) — 11:51.27, 5. ვიქტორ ოვანესიანი (საქართველო)— 11.51.44, 6. ევგენი კოშევოი (ბელორუსია) — 11:51.58.

**გუნდური.** 1. საქართველო — 35:34.09, 2. უკრაინა (ხარკოვი)— 35:36.31, 3. უკრაინა (ნაკრები)— 35:39.22, 4. რუსეთის ფედერაცია (ნაკრები) — 35:39.52, 5. ყაზახეთი — 35:41.37, 6. რუსეთის ფედერაცია (გორკი) — 35:44.41.

**ყველაზე სტაბილური ველოსიპედისტი.** 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 7 საჯარიმო ქულა, 2. ვიტალი ბარსუკოვი (უკრაინა, ნაკრები) 60 ქულა, 3. ლაურის კალნინში (ლატვია) — 70 ქულა.

**ყველაზე აქტიური ველოსიპედისტი.** 1. ალექსანდრე ოსიპოვი (რუსეთის ფედერაცია, ნაკრები) — 20 ქულა, 2 . ვასილი დავი-

იხ. მე-3 გვ.

# ამჯერად ოდესაში

**ოდესაში** დამთავრდა მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში. ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა ანა დოლონაძემ (სურათზე თქვენ მას ხედავთ მარცხნივ) და ლია ბენდიანიშვილმა. მათ თბილისში, აპრილში ჩატარებული ანალოგიური საკავშირო შეჯიბრების მსგავსად ოქროს მედლები მოიპოვეს. ანა უძლიერესი იყო ინდივიდუალურ ხტომებში, გარდა ამისა, მან მეორე ოქროს მედალი ლიასთან ერთად სინქრონულ ხტომებშიც მოიპოვა.



ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.



## ბალავერი

**აკრობატიკის** რესპუბლიკურ სკოლაში დაწყებითი ჯგუფების ბავშვები, ჩვეულებრივ, დედებს მოჰყავთ (მამები ამ დროს სამსახურში არიან). პატარები წყნარად შედიან დარბაზში და მეცადინეობის დაწყებამდე უფროს სპორტსმენთა წვრთნას უყურებენ. შემდეგ ჩუმჩუმად იქვე ლეიბის კუთხეში ცდილობენ მათ მიბაძონ. „მოთელვა" მანამდე გრძელდება, სანამ დარბაზში მაია მასწავლებელი არ შემოვა. ახალბედები ჩვეულებისამებრ ფეხზე დგებიან და ვარჯიშიც იწყება.

— ბავშვებთან მუშაობაში მარტო საქმის ცოდნა არ კმარა, მთავარია ისინი გიყვარდეს, — გვეუბნება სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ გეგელია. — ამ მხრივ მაია შილაკაძე მართლაც რომ სამაგალითოა. იგი თავისი მშვიდი ბუნებით ყოველთვის გადამდებად მოქმედებს აღსაზრდელებზე.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მაია შილაკაძე დღეს თავის მდიდარ გამოცდილებას ამ ცეროდენებს უზიარებს.

გაიმეორებს თუ არა რომელიმე მათგანი თავისი სახელოვანი მასწავლებლის წარმატებებს, ამას მომავალი გვიჩვენებს, დღეს კი პატარები გულმოდგინედ უსმენენ თავიანთ მწვრთნელს, ცდილობენ ყოველი მისი დარიგება დაიხსომონ და შეასრულონ.

# საპატიო წოდების მინიჭება

**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განსავითარებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. **მამია მელიტონის ძე ხანიკიძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება.

# თბილისელების „ოქრო" და „ბრინჯაო"

**ტაგანროგის** რინგზე ჩვენი ქვეყნის 241 ჭაბუკი იბრძოდა პარტიზან სტეფანე მოსტავენკოს სახელობის ტრადიციული პრიზის მოსაპოვებლად. ესენი იყვნენ რსფსრ-ის, ლატვიის, ტაჯიკეთის, უკრაინის, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების უძლიერესი მოკრივეები, რომელთა შორის 12 სპორტის ოსტატი იყო. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირზე საქართველოს ღირსებას პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ოლიმპიური რეზერვის კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი დ. ქავთარაძე) აღსაზრდელები იცავდნენ.

მემორიალის ოქროს მედლები დაიმსახურეს ლერი შეთეკაურმა (63,5 კგ) და არტურ სალათელიანმა (75). მათი თანაგუნდელები დავით ბეგიაშვილი (48) და აზიზ უსუპიანი (58) კი „ბრინჯაოს" დაეუფლნენ.

შეჯიბრებისათვის საქართველოს გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა, სპორტის ოსტატმა ირაკლი არაბულმა, სოსო წინამძღვრიშვილმა და ვიტალი საპელკომ.

# ხუთჭიდელები — უკანასკნელ სწორზე

დიახ, გუშინ თბილისის არმიის სპორტკლუბის კომპლექსში დაწყებული საქართველოს ჭაბუკ თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრება პირველობის უკანასკნელ სწორზე გასვლაა. მაგრამ ამჯერად ასპარეზობა მხოლოდ მზადების დამაგვირგვინებელი ეტაპი გახლავთ წლის მთავარი ტურნირის წინ, რომელიც ხუთი სახეობის ჭაბუკ რაინდებს ამ ზაფხულს ქალაქ უფაში ელით. ეს იქნება ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშები, 1-7 ივლისს რომ ჩატარდება. სწორედ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისწინა ძალთა გამოცდა და გაწეული სამზადისის შეჯამება ხდება რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე. მას ის ფუნქციაც აკისრია, რომ ახალი სახელები უნდა გამოავლინოს.

პირველ სახეობაში — ფარიკაობაში, 34 სპორტსმენი ჩაება. მათ შეემატებიან სამჭიდელებიც (ცურვა, სროლა, რბენა), რომლებიც ხუთჭიდელებთან ერთად იბრძოლებენ საკავშირო თამაშებში. მაყურებელს შეუძლია სარბიელზე იხილოს საქართველოს ნაკრების კანდიდატების — პროფკავშირელ ვიაჩესლავ მალიშევის, ბორის კაცებინის, დინამოელ გია ბერძენიშვილის, იგორ დავიდოვის, სამჭიდელების კონსტანტინე ბესკოროვაინის, სერგეი სემიონოვის („დინამო") გამოსვლები. „ლელოს" მკითხველები კარგად იცნობენ ამ სპორტსმენებს საქართველოს ჩემპიონ ნოდარ შამოიანთან ერთად ისინი რესპუბლიკური და ზონალური საკავშირო პირველობების პრიზიორები არიან.

რაც შეეხება ნ. შამოიანს, იგი ასპარეზობაზე ბოლომდე ვერ დარჩება, რადგან 2 ივნისს სსრ კავშირის „დინამოს" ნაკრებთან ერთად ბუდაპეშტში გაემგზავრება ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

# კოვში, მჭედლიშვილი, ადამაშვილი

**მოსკოვი.** კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე გამართულ საკავშირო თასის პროგრამით გათვალისწინებულ სპრინტერ ვაჟთა ფინალში მონაწილეობის უფლება, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიპოვეს მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა და თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა. ორ ფინალურ სერიაში გამარჯვება კოვშს დარჩა, რომელიც დაეპატრონა კიდეც საპატიო ჯილდოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მესამე საპრიზო ადგილიც საქართველოს წარმომადგენელმა ვლადიმერ ადამაშვილმა დაისაკუთრა.

როგორც საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელმა ა. ნიჟეგოროდცევმა განაცხადა, თასის გათამაშება ოლიმპიური სამზადისის მეორე ეტაპს წარმოადგენდა, სეულში გასამგზავრებელი გუნდი კი ჩვენი ქვეყნის საზაფხულო ჩემპიონატში შეირჩევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე

საუბარი აბიტურიენტებთან

# ათი გაკვეთილი ფიზკულტურაში

**გაკვეთილი მეშვიდე.** გუშინ სარედაქციო ფოსტამ კვლავ მოიტანა აბიტურიენტთა წერილები, სადაც ისინი წერენ, რომ გაკვეთილების მეშვეობით თანდათან უმეგობრდებიან ფიზკულტურას და არც იხე ძნელი ყოფილა ვარჯიშების შესრულება, როგორც ეს თავდაპირველად წარმოედგინათ. ზოგიერთი, მართალია, სკოლაში განთავისუფლებული იყო ფიზაღზრდის გაკვეთილებიდან, მაგრამ ახლა მაინც სურს ჩააბაროს ჩათვლა ფიზკულტურაში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ. ისინი რჩევას გვთხოვენ. რა თქმა უნდა, ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს პირადი საქმე, მაგრამ ჩვენი რჩევა მაინც ასეთია: სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილებიდან საერთოდ ავადმყოფობის გამო ანთავისუფლებენ. ამიტომ აუცილებლად უნდა მიაკითხოთ ექიმს, ის მოგცემთ დასკვნას შეიძლება თუ არა ფიზიკური დატვირთვა.

ახლა უშუალოდ გაკვეთილზე ვისაუბროთ. წინა გაკვეთილიდან დავიწყეთ რბენისას ტემპის მომატება, ვაჟები ამჟამად 900 მეტრს გაირბენთ აჩქარებულ ტემპში, შემდეგ, როგორც ადრე აკეთებდით, 50-60 მეტრს ნაბიჯით გაივლით და შეასრულებთ წოლბჯენიდან ხელების მოხრას, გაშლას 13-ჯერ, შემდეგ ცოტას შეისვენებთ და ბუქნს წინმკლავში შეასრულებთ 32-ჯერ.

გოგონები კვლავ 400 მეტრს გაირბენენ აჩქარებული ტემპით. შინ დაბრუნების შემდეგ შეასრულებენ ბუქნს წინმკლავში 27-ჯერ, შესვენების შემდეგ კი წოლელა მდგომარეობიდან წამოჯდომი სრულდება 22-ჯერ. შეგახსენებთ: დილით მეცადინეობის დაწყებამდე ატარებთ გამამხნევებელ ვარჯიშს. ნორმატივები არასრული დატვირთვით ცალცალკე შეიძლება საღამოსაც გაიმეოროთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 101, 102, 103, 104, 105.

# პასუხები შეკითხვებზე

● **ბრტყელტერფიანები განთავისუფლდებიან თუ არა ფიზკულტურაში ჩათვლისაგან და რა უპირატესობა მიეცემათ თანაბარქულიანებთან შედარებით ჩარიცხვის დროს?**

— თუ სათანადო ცნობა გექნებათ, ცხადია, ჩათვლას ფიზკულტურაში არ ჩააბარებთ. თანაბარქულიანებში ჩარიცხვისას კი ბრტყელტერფიანები ისარგებლებენ შეღავათით თუ იგი გათვალისწინებულია დაავადებათა იმ ჩამონათვალში, რომელიც ასეთ შეღავათებს იძლევა ინსტიტუტში შემსვლელთათვის.

● **შეიძლება თუ არა დამატებით მეოთხე ან მეხუთე ნორმატივის ჩაბარება თუ თავდაპირველად შერჩეული სამი ნორმატივიდან რომელიმეში ჩათვლა ვერ მივიღეთ?**

— შეიძლება. ხუთი ნორმატივიდან თითოეულში აბიტურიენტს უფლება ეძლევა ჩათვლაზე გავიდეს სამჯერ.

● **რა ჩაეწერება ჩათვლის ბარათში იმას, ვინც ფიზიკურ მომზადებაში შემოწმებისგან განთავისუფლებული იქნება?**

— ასეთ აბიტურიენტს ბარათში ჩაეწერება „განთავისუფლებულია".

● **რომელი რიცხვიდან შეიძლება ნორმატივების ჩაბარება და როგორ?**

— ნორმატივებს მიიღებენ შესაბამისი ინსტიტუტების კომისიები დღეიდან, 1 ივნისიდან იმ წესით და იმ სპორტულ ბაზებზე, რომელიც „ლელოს" 24 მაისის ნომერშია გამოქვეყნებული.

**ყურადღება! სპორტული კომპლექსი „ბურევესტნიკი" აცხადებს მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში აბიტურიენტთათვის, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში. მეცადინეობები ჩატარდება დილის 9 საათიდან საღამოს 22 საათამდე. ცნობებისათვის დარეკეთ: 39-26-14 ან 39-59-38. მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 6.**

# ჭაბუკების (sic) 

# ჭვალინდელი დღის იმედით

**ევპატორიაში** ამას წინათ გაიმართა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლებს შორის. ასპარეზობაში 25 სკოლის 197 ჭაბუკი მოკრივე (1972-1973 წლებში დაბადებულნი) გამოვიდა.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა ოლიმპიური რეზერვის კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის 8 აღსაზრდელი. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ თბილისელები აზიზ უსუპიანი (50 კგ, მწვრთნელი ვიტალი საპელკო) და რობერტ მატოიანი (57 კგ, მწვრთნელი გუმბათ ასლანოვი), რომლებსაც ვერცხლის მედლები გადაეცათ. ფინალში ორივემ მეტად დაძაბული ბრძოლა გადაიტანა და მხოლოდ ქულებით დათმეს გადამწყვეტი შეხვედრა: პირველმა — საბჭოთა კავშირის გასული წლის პირველობის ფინალისტთან, მაგადანელ ევგენი პოგოდინთან, მეორემ — ქვეყნის ჩემპიონთან, ლენინაკანელ ოვანეს სტეფანიანთან.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ფოთელი პაატა გვასალია (48 კგ, მწვრთნელი სოზარ კულუა). სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო იგი ვერ გამოვიდა ნახევარფინალში და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. კარგად იასპარეზა აგრეთვე თბილისელმა ედუარდ მირზოიანმა (52 კგ), რომელიც IV ადგილზე გავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა VI-VII ადგილი გაიყო დონეცკის კოლექტივთან, მაგრამ უკან მოიტოვა ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა მოსკოვის, ერევნის, ალმა-ათის, ჟდანოვისა და სხვა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს მოკრივეებს მეტოქეებთან შედარებით აშკარად ეტყობოდათ გამოუცდელობა — ისინი ფაქტიურად პირველად მონაწილეობდნენ ასეთი რანგის შეჯიბრებაში.

**დავით ქავთარაძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლის დირექტორი.**

უნივერსიადა-88

# ტყეში დაკარგული ქალები

**სპორტული** ორიენტირება სპორტის ის ერთ-ერთი იშვიათი სახეობაა, რომელშიც მასობრივად შეიძლება ვარჯიში. ამასთან, ეს სახეობა არ მოითხოვს არც ძვირადღირებულ ინვენტარს, არც საჭურველს, სპორტდარბაზსა თუ ღია მოედანს. ტყე, კომპასი და რუკა — აი, სპორტული ორიენტირების წარმომადგენელთა ლამის მთელი ინვენტარი და სარბიელი. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ სტუდენტთა რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებში ამ სახეობაში ყველა უმაღლესი სასწავლებელი შეეცდებოდა წარმომადგენელთა გამოყვანას, მით უმეტეს, რომ ასპარეზობის დებულებით, ესტაფეტებში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, გუნდები ქალებით დაკომპლექტდებოდა თუ ვაჟებით.

სამწუხაროდ, ქუთაისის მიდამოებში, ოღასკურის ხეობაში თუ მუხნარის ტყეში გამართულ შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის, სამედიცინო, საქართველოს პოლიტექნიკური, ქუთაისის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები გამოვიდნენ.

აქვე ვიტყვით: ასპარეზობის მონაწილეებმა ძალზე სუსტი მომზადება გამოავლინეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ერთადერთი იყო, რომელმაც ყველა სახეობაში ჩათვლა მიიღო და, რაღა თქმა უნდა, გაიმარჯვა კიდეც — 444 ქულა (მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 246 ქულა, სამედიცინო ინსტიტუტი — 225, უნივერსიტეტი — 168, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი — 96).

პირად პირველობაში, ვაჟთა შორის, 16 სპორტსმენი ჩაება, მაგრამ ჩათვლა მხოლოდ ოთხმა მიიღო.

აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გ. თავაძე (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი), დ. ფანქველაშვილი (სპი), ი. მაისურაძე (სამედიცინო ინსტიტუტი).

ქალთა ასპარეზობაში უარესი მდგომარეობა იყო. თერთმეტი მონაწილიდან ჩათვლა მხოლოდ მაია კაკაბაძემ (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) მიიღო. ამიტომ შეჯიბრებამ მეორე და მესამე პრიზიორები ველარ გამოავლინა.

საინტერესოა, რომ ქალებს 3-კილომეტრიან დისტანციაზე 6 საკონტროლო პუნქტი უნდა გაევლოთ, მაგრამ პუნქტების მოძებნას ვიდა ჩივის, როცა ორი სპორტსმენი... თავად გახდა მოსაძებნი.

ესტაფეტაში ყველას აჯობეს სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომელთა სამივე წევრმა დისტანცია დაამთავრა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელთაგან დისტანციის გავლა ორმა მოახერხა და მათმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან საკონტროლო დროში მხოლოდ ერთი ჩაეტია. ასეთივე შედეგი ჰქონდათ უნივერსიტეტელებს, ხოლო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის წევრთაგან ესტაფეტაში ჩათვლა ვერავინ მიიღო.

**ნათელა ხოშტარია.**

**რედაქციისაგან:** როცა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ნიჩბოსნობა, წყალბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო და ა. შ. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს გუნდები ვერ გამოჰყავთ და ათასი მიზეზი მოჰყავთ, რომ თავი გაიმართლონ, გასაგებია, მაგრამ რით უნდა იმართლონ თავი და რა უნდა მოიმიზეზონ, როცა ყველასთვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობაში — სპორტულ ორიენტირებაში, სადაც ყველა უმაღლეს სასწავლებელს შეეძლო გამოეყვანა გუნდი, 19-დან მხოლოდ 5 კოლექტივი მონაწილეობდა? აი, სად გამოჩნდა აშკარა უპასუხისმგებლობა სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი. განა ეს ფაქტი იმაზე არ მეტყველებს, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ტურიზმიც ხელმიშვებულია? სპორტული ორიენტირება ნებისმიერი დარგის სპეციალობისა და საერთოდ ნებისმიერი ადამიანისთვისაა აუცილებელი. ჩვენს უმაღლეს სკოლებში კი... ვინ აგებს პასუხს ასეთ უპასუხისმგებლობაზე? ველით პასუხს.

# ძველი სცენარით

**ამიერკავკასიის** რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩებს მრავალი წლის ისტორია აქვს. გუნდები მონაცვლეობით მასპინძლობენ ერთმანეთს. წლევანდელი შეჯიბრება, რომლის შესახებაც უკვე გაცნობეთ „ლელოს" 25 მაისის ნომერში, მოლდავეთის დედაქალაქში ჩატარდა.

ამ მატჩების შედეგები, ცხადია, გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს მძლეოსნობის მდგომარეობის შესახებ თითოეულ რესპუბლიკაში. თუმცა ეს წარმოდგენა ზოგჯერ პირობითი ხასიათისაც გახლავთ. ზემოხსენებულ მატჩში, მაგალითად, გაიმარჯვა ამ ოთხთა ტურნირის ტრადიციულმა ლიდერმა, მოლდავეთის კოლექტივმა, მაგრამ თუ სპორტსმენთა შედეგებს მაღალი, საერთაშორისო კატეგორიით მივუდგებით, აქ უპირატესობა ჩვენი გუნდის მხარეზე იქნება. სეზონის დასაწყისისათვის მართლაც კარგი შედეგი აჩვენა საქართველოს რამდენიმე მძლეოსანმა. მაია აზარაშვილმა 200-მეტრიანი დისტანცია 22,6 წამში დაფარა და მთელი 1,6 წამით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქე. ასევე უზარმაზარი სხვაობა იყო მაიასა და სხვა მორბენლებს შორის 400-მეტრიანი დისტანციის ფინიშზე — მთელი 3 წამი. მან თითქმის ამდენივე დროით გააუმჯობესა საქართველოს ძველი რეკორდი და 51,2 აჩვენა.

სოხუმელმა ტარიელ ბიწაძემ ასევე საგრძნობლად, 79 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი ბირთვის კვრაში და 3,84 მეტრი მოუგო უახლოეს მეტოქეს, თანაგუნდელ ბესიკ ლომინაძეს. ბესიკ გოცირიძემაც საკმაო უპირატესობით (0,5 წ) ჩამოიტოვა სხვა მორბენლები 200-მეტრიან დისტანციაზე. საიდა გუნბას (მწვრთნელი ილია გიგაური) უპირატესობამ შუბის ტყორცნაში კი 8 მეტრი (!) შეადგინა, როდესაც მან 57,06 მეტრზე გაგზავნა იარაღი.

მძლეოსნობა მრავალდარგიანი სახეობაა და რამდენიმე ლიდერს, ცხადია, არ შეუძლია გადაწყვიტოს მთელი მატჩის ბედი. ბოლო ხანს მოლდაველი მძლეოსნები სტაბილურობით გვჯობიან და ახლაც მატჩში გამარჯვება არ გასჭირვებიათ. თუმცა ოლეგ სტრიჟაკოვს, ვახტანგ მინაშვილსა და კიდევ ერთ-ორ მძლეოსანს სხვადასხვა მიზეზით შეჯიბრება რომ არ გამოეტოვებინა, ის 96-ქულიანი უპირატესობა, რაც მასპინძელთა და ჩვენს გუნდს შორის იყო, გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

ხოლო ის, რის გამოც ვაგებთ მატჩს მოლდავეთთან, ჩვენი მძლეოსნობის ტრადიციული სენია. მაია აზარაშვილის გარდა ქალთა რბენისა და ხტომის ყველა სახეობაში (ეს კი 13 სახეობაა) ჩვენი სპორტსმენები ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მესამე ადგილს იკავებდნენ და ჩვენს მტყორცნელთა ტრადიციული წარმატება რომ არა, ქალთა შეჯიბრების შედეგებში წარმოუდგენელ დისპროპორციას ვიხილავდით ჩვენი მეტოქეების სასარგებლოდ.

გუნბას გარდა ტყორცნაში წარმატებას მიაღწიეს: ელვირა ურუსოვამ (მწვრთნელი ვასილ შმაკოვი) ბირთვის კვრაში — 15,56 მ. მეორე ადგილიც ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენმა გურანდა თედორაძემ დაიკავა — 15,30 მ. ბადროს ტყორცნაში თავი გამოიჩინა ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, ცნობილი ძიუდოისტის გივი ონაშვილის ქალიშვილმა ნინომ — 50,40 მ. ორივე გოგონას ლამარა ტუღუში ამეცადინებს.

ასევე აბსოლუტური იყო ჩვენი მტყორცნელი ვაჟების გამარჯვება. ტარიელ ბიწაძის გარდა პირველი ადგილები დაიკავეს სერგეი დევიატკინმა (მწვრთნელი სერგეი ძურძუკი) ბადროს (53,0 მ), იოსებ შავერდაშვილმა (ი. მწითური) უროს ტყორცნაში — 69, 12 მ. შუბის მტყორცნელმა გენადი არჯევანიძემ (ნიკოლაი ორფანოვი), რომელსაც ხელი ჰქონდა ნატკენი, ერთადერთი ცდით გაიმარჯვა — 73,40 მ.

ვაჟთა რბენაში საგრძნობი უპირატესობა ჩვენს მეტოქეებს აქვთ, ამიტომ ახალგაზრდა მძლეოსნების, თბილისელი მიხეილ გაფრინდაშვილისა (400 მ — 48,0) და ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინის (1500 მ — 3.53,2) მიერ მეორე ადგილებზე გასვლაც წარმატებაა მათთვის. აი, 110 მეტრზე თარჯრბენში კი, რომ იტყვიან, 100-პროცენტიანი უპირატესობა გვქონდა, გელა ვეშაპაძემ (13,8) და იგორ ივანოვმა (13,9) პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

მეტად არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ ჩვენი მხტომელები (გოჩა ჩერტკოშვილის გარდა, რომელმაც ჭოკით ხტომაში 5 მ აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა) — მათ პირწმინდად წააგეს დანარჩენ სახეობებში ბრძოლა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა სიმაღლეზე ხტომაში. ეს სახეობა, რომელშიც შესანიშნავი ტრადიციები გვქონდა, პირდაპირ სულს ღაფავს ჩვენში.

ტრადიციული მატჩის შედეგებიდან ჩვენთვის ყველაზე პოზიტიური ის იყო, რომ ოლიმპიური სეზონის პირველ სტარტებზე ღია ცის ქვეშ საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს საქართველოს ნაკრების ლიდერებმა.

გუნდური პირველობა: 1. მოლდავეთი — 480 ქულა; 2. საქართველო — 384; 3. სომხეთი — 268. 4. აზერბაიჯანი — 123.

# ახმეტელი ჭაბუკები საკავშირო სარბიელზე

**ახლახანს** ახმეტელმა ძიუდოისტებმა (1973-1974 წ. წ. დაბ.) ზედიზედ ორ საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა.

მოსკოვში, დ. ივლევის სახელობის ტურნირზე 9 კოლექტივი იბრძოდა. ჩვენი გუნდი, რომელიც არასრული შემადგენლობით გაემგზავრა ამ შეჯიბრებაზე, მაინც მოხვდა პრიზიორთა შორის — მესამე ადგილი დაიკავა. ამასთან, ქართველ ჭაბუკებს ერთი წლით უფროსებთან მოუწიათ შეხვედრა. ახმეტელთა შორის საუკეთესონი იყვნენ ბერდია ლაგაზაური (62 კგ, II ადგილი), ლევან თედეშვილი (44), შალვა ტიბუნაშვილი (54), არჩილ მეშველიანი (70), რომლებმაც მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

მოსკოვის ოლქის ქალაქ კურავსკოეში საბჭოთა კავშირის გმირის ს. კურკოვის სახელობის ტურნირში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების 15 გუნდის 200 სპორტსმენი გამოდიოდა. ახმეტელმა ფალავნებმა ორი პირველი და სამი მეორე ადგილი მოიპოვეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ლევან თედეშვილი და ლერი ცინკვერაშვილი (მძიმე წონა). ამირან აბრამიშვილმა ფინალში დამარცხების მიუხედავად სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა — იგი ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს. II ადგილები დაიკავეს ბერდია ლაგაზაურმა და არჩილ მეშველიანმა.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

# გამოცოცხლდებიან?..

**ამ** გაზაფხულზე საგრძნობლად გააქტიურდა ტყიბულის სპორტული ცხოვრება. აპრილის პირველ დღეებში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ტყიბულის საქალაქო საბჭოს თაოსნობით ჩატარდა ჯანმრთელობის სპარტაკიადა. მაღაროელთა ქალაქის ფიზკულტურის კოლექტივები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ჭადრაკში, შაშში, მინიფეხბურთში, ბაგირის გადაძალვაში.

სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მინდელის სახელობის შახტის ფიზკულტურელებმა. მეორე ადგილი დაიკავეს შაორჰესის, მესამე — ლენინის სახელობის შახტის გუნდებმა. ურიგოდ არ იასპარეზეს ტყიბულის ჩაის ფაბრიკის, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, განათლების განყოფილებისა და 22-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივებმა. შახტმშენის, სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტების გუნდებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს. სამწუხაროდ, იყვნენ ისეთი საწარმოები, რომლებმაც სპარტაკიადაზე გუნდი ვერ გამოიყვანეს. საყვედური, უპირველეს ყოვლისა, ეთქმით თბოწყალკანალიზაციის სარემონტო-სამშენებლო უბნის, № 1 და № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორების კოლექტივებს. ვიმედოვნებთ, ისინიც მალე გამოცოცხლდებიან.

ჯანმრთელობის საქალაქო სპარტაკიადის დასრულების შემდეგ კი, ისევ პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ორგანიზაციის თაოსნობით, ჩატარდა შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში.

**ელბერდ ბაქრაძე,**
**„ლელოს" კორ.**



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის მთავარი მოედანი. 28 მაისი.

„მშენებელი“ (ქუთაისი) — ასკ (ალმა-ათა) 18:9 (12:3).

„მშენებელი“: ძაგნიძე; ძოწენიძე (ხამაშურიძე, 60), ყორყოლიანი, ნემსიწვერიძე, ლოსაბერიძე; დეისაძე, იობიძე (გაბიძაშვილი, 66); თხელიძე (ჰიქაბერიძე, 62), ობოლაძე, ფირცხალავა, ბაბუნაშვილი, გრიგალავა, ლილუაშვილი, ოდიშარია, ნაჭყებია.

ასკ: ბოლდაკოვი; ბიჩკოვი, კრუპინი (იაშინი, 55), ბაკშინი, ყადიროვი; ბიგნოვი, ხოხლოვი; კიჩკინი, გოლიშევი, სტალმახოვიჩი, განიაშინი, კლოჩკოვი, ოგრიზკოვი, ილვოვსკი.

მსაჯი ნიკოლაი რუმიანცევი (ლენინგრადი).

გოლები: „მშენებელი“ — 2 ლელო (37, ოდიშარია; 62, ნაჭყებია), 2 რეალიზაცია, 2 საჯარიმო (6, 20, 38, 63: ძაგნიძე); ასკ — ლელო (43, კიჩკინი), რეალიზაცია, არეკნი (11, 44: ბონდარევი).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

წინა ტურში „ელმავალთან“ დამარცხების შემდეგ ალმაათელებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, უშუალო კონკურენტთან თავგამოდებით უნდა ეთამაშათ და ასეც მოხდა: მედლებისათვის მებრძოლთა ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბულად წარიმართა.

მოვუსმინოთ მატჩის კომისარს, რეგბის საკავშირო ფედერაციის წევრს იური დაინენკოს:

— ეს მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ შეხვედრათაგან, რომელთაც წლევანდელ სეზონში დავესწარი. ორივე გუნდმა ღია, მოძრავი, სანახაობრივად საინტერესო რეგბი ითამაშა. ქუთაისელებმა და ალმაათელებმა კარგად უწყიან ერთმანეთის მორკინალთა სიძლიერე, ამიტომ ისინი განერიდნენ ძალისმიერ თამაშს და ცდილობდნენ უპირატესად ხელით ეთამაშათ. ცხადია, ამან უფრო მიმზიდველი გახადა ისედაც საინტერესო, დაძაბული ორთაბრძოლა. სამეოთხედელთა გააზრებული თამაშის შედეგი იყო ის ორი ულამაზესი ლელო, რომლებიც ჯერ ოდიშარიამ, მერე კიჩკინმა გაიტანეს. რაც მთავარია, დაძაბულობის მიუხედავად მეტოქეებმა კორექტულად, ღირსეულად იბრძოლეს, გამოცდილ არბიტრს რუმიანცევს მხოლოდ ოთხჯერ მოუხდა თამაშის შეჩერება. როგორც ვეტერან რეგბისტს, აღმაფრთოვანებს ჩვენი გუნდების ასეთი თამაში და ვთვლი, რომ ამ ბოლო წლებში საბჭოთა რეგბი სწორი მიმართულებით ვითარდება.

ახლა ორიოდე სიტყვით იმ გოლების შესახებ, რომლებმაც გამარჯვება მოუტანეს „მშენებელს“: მე-6 წუთზე ძაგნიძემ თითქმის მოედნის ცენტრში დანიშნული საჯარიმო შეაგდო. მართალია, ხუთი წუთის შემდეგ ბონდარევმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მალე მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა: ძაგნიძემ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, 37-ე წუთზე ოდიშარიამ ლელოს გატანით დააგვირგვინა ობოლაძისა და ლილუაშვილის მიერ გათამაშებული კომბინაცია. 43-ე წუთზე არანაკლებ ლამაზი ლელო გაიტანა კიჩკინმაც, შემდეგ კი ნაჭყებიამ იმარჯვა: მან მძლავრი ბიძგით გაარღვია მეტოქის დაცვის ხაზი და ბურთი კარის ძელებს შორის დაამიწა. ძაგნიძემ რეალიზაციაც გამოიყენა და ამრიგად „მშენებელმა“ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 18:9.

**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

ქუთაისი.

კვირას გაიმართა IX ტურის სხვა მატჩებიც. ტირასპოლში ადგილობრივი „ელექტრომაშისა“ და თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა კლუბის შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. ტაშკენტის „ზვეზდამ“ შინ წააგო კიევის „ავიატორთან“ (21:33), ლენინგრადის „ელექტრონმაშმა“ — კრასნოიარსკის ეტს-თან (10:23), მონინოს სსა-მ კი სძლია მოსკოვის „ფილის“ (32:9).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი“ | 9 | 8 | 1 | 0 | 26 | (—1) |
| „ავიატორი“ | 9 | 7 | 0 | 2 | 23 | (—4) |
| სსა | 9 | 7 | 0 | 2 | 23 | (—4) |
| „ლოკომ.“ (მ.) | 8 | 5 | 2 | 1 | 20 | (—4) |
| ასკ | 9 | 4 | 2 | 3 | 19 | (—8) |
| ეტს | 9 | 4 | 1 | 4 | 18 | (—9) |
| რრკ | 9 | 4 | 1 | 4 | 18 | (—9) |
| „სლავა“ (მ.) | 8 | 4 | 0 | 4 | 16 | (—8) |
| „ელ.“ (ტირ.) | 9 | 2 | 1 | 6 | 14 | (—13) |
| „ზვეზდა“ | 9 | 2 | 0 | 7 | 13 | (—14) |
| „ფილი“ | 8 | 1 | 0 | 7 | 10 | (—14) |
| „ელ.“ (ლენ.) | 8 | 0 | 0 | 8 | 8 | (—16) |

საქართველოს გუნდები მორიგ შეხვედრებს 2 ივნისს გამართავენ. ქუთაისელები კიევში ეთამაშებიან „ავიატორს“, თბილისელები ტაშკენტის „ზვეზდას“ უმასპინძლებენ.

• • •

პირველი ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბის კლუბმა „შევარდენმა“ 28 მაისს ლიგის აუტსაიდერს — დნეპროპეტროვსკის „პრესს“ უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა მოედანზე სანახევროდ სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს, 6 ლელო, ერთი რეალიზაცია, ორი საჯარიმო გაიტანეს და მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მესამედ გაიმარჯვა „მშრალი“ ანგარიშით — 32:0 (14:0).

# უნივერსალური ვასილ დავიდენკო

ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ 1988

(დასასრული)

დენკო (საქართველო) — 14 ქულა, 3. დმიტრი ბაიდინი (მოსკოვი)— 8 ქულა.

**ყველაზე ძლიერი ველოსიპედისტი სამთო ეტაპებზე.** 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო)— 26 ქულა, 2. ვიქტორ სოლოვიოვი (უკრაინა, ხარკოვი) — 8 ქულა, 3. კირილ ბელიაევი (ლენინგრადი) — 8 ქულა, 4. ვიქტორ როტერმელი (ყაზახეთი) — 8 ქულა.

**ყველაზე უნივერსალური ველოსიპედისტი.** 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 15 ქულა.

მრავალდღიანი ველორბოლების პრაქტიკაში უნიკალური შემთხვევა ხდება: დღეს-დღეობით ერთი და იგივე სპორტსმენი ყველაზე სტაბილური, აქტიური, უნივერსალური ველოსიპედისტია და ამავე დროს სამთო ეტაპების საუკეთესო სპეციალისტიც. მეტი პრიზი მსაჯთა კოლეგიას არ დაუწესებია. თანაც ეს ველოსიპედისტი საერთო ჩათვლაში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა (ლიდერს 0,16 წამით ჩამორჩება) და თავისი გუნდის წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს. მრავალდღიანი ველორბოლის ეს უნიკალური მონაწილე საქართველოს გუნდის წევრი ვასილი დავიდენკო გახლავთ.

კარგი ფიზიკური მომზადება მისი წარმატების ერთ-ერთი პირობაა, მაგრამ ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული სხვა გუნდების ლიდერებიც. მრავალდღიანი ველორბოლა, როგორც ამას მისი სახელწოდება გვიჩვენებს, მრავალი დღის მანძილზე სწორი ტაქტიკური ბრძოლის უნარსაც გულისხმობს, ძალების განაწილების ცოდნას, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში სითამამეს და როცა საჭიროა, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს, ბრძნულ სიმშვიდესაც. უნივერსალური ველოსიპედისტი თავის თავში სწორედ ყველა ამ თვისებას უნდა აერთიანებდეს. ამიტომ უწოდებენ მას უნივერსალურს.

მაგრამ უნივერსალური რომ იყო, ყოველ ეტაპზე სტაბილურ შედეგებს უნდა აჩვენებდე. ვასილ დავიდენკომ დღემდე ჩატარებულ ოთხი ეტაპიდან ორში პირველი ადგილი მოიპოვა, ერთში მეორე და ერთშიც — მესამე, სწორედ ამიტომ არის იგი ამ ველორბოლაში ყველაზე პოპულარული ველოსიპედისტი.

ვასილი დავიდენკოს [illegible] რბოლას. [illegible] ჯობენ მეტოქეები, მის ნებისმიერ მოძრაობას, მანევრს მკაცრად აკონტროლებენ. მაგრამ დავიდენკოს, როგორც მებრძოლს, კიდევ ერთი დასაფასებელი ღირსება აქვს. იგი განსაკუთრებით ძლიერია ფინიშზე და მაქსიმალური სისწრაფე შეუძლია განავითაროს ამ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ეტაპზე.

საქართველოს გუნდი ოთხი ეტაპის შემდეგ პირველ ადგილს ინარჩუნებს. მეორე ადგილზე მყოფი ხარკოვის გუნდი მას თითქმის ორწუთნახევრით ჩამორჩება. ორწუთნახევარი ასეთი მკაცრი მეტოქეობის პირობებში, ცხადია, საიმედო მარაგია. მაგრამ ჩვენი ნაკრების ამ წარმატებას მხოლოდ დავიდენკოს ვერ ჩავუთვლით დამსახურებად.

გადავხედოთ პირად ჩათვლაში მოასპარეზეთა გვარებს. მესამე საპრიზო ადგილს დღეისათვის საქართველოს გუნდის წარმომადგენელი გარი კეხბა ინარჩუნებს. დავიდენკოს იგი წუთნახევრით ჩამორჩება. ექვსეულშია (უფრო ზუსტად, მეხუთე ადგილზეა) ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი წარმომადგენელი, ვიქტორ ოვანესიანი, რომელიც კეხბას სულ ოციოდე წამით ჩამორჩება. შეჯიბრების დებულების თანახმად გუნდურ ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შედის. ე. ი. საქართველოს ნაკრების წარმატებას დღესდღეობით ამ სამი ველოსიპედისტის შედეგები განსაზღვრავს.

მაგრამ გუნდი, როგორც წესი, ექვსი მონაწილისგან შედგება და მისი სამი დანარჩენი წევრი (ბაჩუკი ხორგუანი, ვიტალი მუშკუდიანი, მამუკა შუბითიძე) ყოველ წამს მზად არის გუნდის ინტერესების ღირსეულად დასაცავად. ისინი შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ დაწინაურებულ თანაგუნდელებს და ამით კოლექტივის ერთსულოვნებას შესამჩნევად ამტკიცებენ.

მრავალდღიან ველორბოლაში ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც ხდება. მოულოდნელობისგან, ცხადია, არავინაა დაზღვეული, მაგრამ რბოლის შინაგანი ლოგიკის თანახმად ჩვენი ნაკრების გულშემატკივრები მშვიდად უნდა იყვნენ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

# შემადგენლობა დადგინდა



**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ დაამტკიცა 20 ფეხბურთელის სია, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას. ფეხბურთელები ამ ნომრებით ითამაშებენ ჩემპიონატის მატჩებში: 1. რინატ დასაევი, 2. ვლადიმერ ბესონოვი, 3. ვაგიზ ხიდიატულინი, 4. ოლეგ კუზნეცოვი, 5. ანატოლი დემიანენკო, 6. ვასილი რაცი, 7. სერგეი ალეინიკოვი, 8. გენადი ლიტოვჩენკო, 9. ალექსანდრე ზავაროვი, 10. ოლეგ პროტასოვი, 11. იგორ ბელანოვი, 12. ივანე ვიშნევსკი, 13. თენგიზ სულაქველიძე, 14. ვიაჩესლავ სუკრისტოვი, 15. ალექსეი მიხაილიჩენკო, 16. ვიქტორ ჩანოვი, 17. სერგეი დმიტრიევი, 18. სერგეი გოცმანოვი, 19. სერგეი ბალტაჩა, 20. ვიქტორ პასულკო.

ნაკრების მთავარი მწვრთნელია **ვალერი ლობანოვსკი,** მწვრთნელები — **იური მოროზოვი და სერგეი მოსიაგინი,** გუნდის უფროსი — **ნიკიტა სიმონიანი.**

საბჭოთა ფეხბურთელები 7 ივნისს გაემგზავრებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და შტუტგარტის მახლობლად მდებარე სპორტულ ბაზაზე დაბანაკდებიან.

პირველ მატჩს ქვეჯგუფში ჩვენი ნაკრები გამართავს 12 ივნისს ჰოლანდიის ნაკრებთან. 15 ივნისს — ირლანდიელებთან, ხოლო სამი დღის შემდეგ — ინგლისელებთან.

# ოლიმპიურ სარბიელზე

**რეიკიავიკი.** აქ შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი. ისლანდიისა და იტალიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით 3:0 (2:0), მათ გაინაღდეს ფინალში თამაშის უფლება.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

#### I ლიგა

30 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის 2 მატჩი: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:2, ცსკა — ასკ (დონის როსტოვი) 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 1 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ სტ. | 12 | 7 | 4 | 1 | 18-8 | 18 |
| ცსკა | 12 | 7 | 3 | 2 | 15-5 | 17 |
| „პამირი“ | 12 | 6 | 5 | 1 | 20-10 | 17 |
| „გეოლოგი“ | 11 | 6 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| „კოტაიკი“ | 12 | 6 | 2 | 4 | 16-19 | 14 |
| „როტორი“ | 11 | 6 | 1 | 4 | 17-10 | 13 |
| ასკ რ. | 11 | 5 | 2 | 4 | 16-14 | 12 |
| „სპარტაკი“ | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 12 |
| „როსტსელ.“ | 11 | 4 | 4 | 3 | 15-11 | 12 |
| „ტავრია“ | 11 | 4 | 4 | 3 | 11-9 | 12 |
| ასკ „კარპატი“ | 11 | 5 | 1 | 5 | 17-11 | 11 |
| „გურია“ | 11 | 5 | 1 | 5 | 12-12 | 11 |
| „კუზბასი“ | 12 | 5 | 1 | 6 | 9-15 | 11 |
| „დაუგავა“ | 11 | 4 | 3 | 4 | 12-10 | 11 |
| „ფახთაქორი“ | 12 | 3 | 5 | 4 | 13-14 | 11 |
| „შინიკი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 10-12 | 10 |
| „კოლოსი“ | 12 | 4 | 2 | 6 | 9-12 | 10 |
| „ზარია“ | 11 | 3 | 4 | 4 | 13-11 | 10 |
| „ყუბანი“ | 11 | 3 | 3 | 6 | 11-18 | 9 |
| „მეტალურგი“ | 12 | 1 | 5 | 6 | 4-15 | 7 |
| „დინამო“ ბ. | 11 | 3 | 0 | 8 | 7-14 | 6 |
| „ზვეზდა“ | 11 | 0 | 4 | 7 | 7-20 | 4 |

II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტური ასეთი შედეგებით აღინიშნა: „ლორი“ (კიროვაკანი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 3:0, „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ისკრა“ (ერევანი) 4:0, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:4, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „ლუჩი“ (აზოვი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 1:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 1:0.

VII ტურის მატჩები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით, რომელიც 27 მაისს გაიმართა, ასე დამთავრდა: „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 3:2.

გაიმართა II ლიგის IX ზონის საკავშირო ჩემპიონატის V და VI ტურის მატჩები: „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 1:0, „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 2:3, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი)— „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:1, „გოიაზანი“ (გაზახი) — „დილა“ (გორი) 3:2, „დინამო“ (მახაჩყალა)— „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:0, „თერგი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“ (მინერალური წყლები) 2:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 0:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 4:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „დილა“ (გორი) 6:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 4:2, „თერგი“ (გროზნო) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 1:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) —„ხაზარი“ (სუმგაითი) 3:1.

VI ტურის მატჩში, გაზახის „გოიაზანმა“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლა, ტორპედოელებმა მთელი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს, შეხვედრის პირველი ნახევრის 32-ე წუთზე კიკლიაშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ დარასელიამ პირველი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში 1:0, 41-ე წუთზე ისევ კიკლიაშვილმა ითამაშა ჩინებულად და ბურთი ჩააწოდა უმეთვალყუროდ დარჩენილ გაბისკირიას, რომელმაც 2-მდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ნახევარში გაზახის ფეხბურთელებმა ისღა შეძლეს, რომ შეამცირეს სხვაობა ანგარიშში — 1:2. ტორპედოელებმა მეტად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს. ქუთაისელებმა ამ დღეს ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჩხეიძე, პაპავა, გიგატაძე, ჩხაიძე, ბზიკაძე, მ. თევზაძე, კიკლიაშვილი, გაბისკირია, დარასელია, მეგრელაძე, კაჭარავა.

• • •

**გთავაზობთ II ლიგის III და IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ივნისის კალენდარს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით.**

**III ზონა**

**5 ივნისი. კვირა. IX ტური.** „დინამო“ (სოხუმი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ანაპა).

**8. ივნისი. ოთხშაბათი. X ტური.** „კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ანაპა), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი).

**12 ივნისი. კვირა. XI ტური.** „კოლხეთი“ (ფოთი) — „ლორი“ (კიროვაკანი), „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „მერცხალი“ (მახარაძე).

**13 ივნისი. ორშაბათი.** „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „დინამო“ სოხუმი), „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია).

**15 ივნისი. ოთხშაბათი. XII ტური.** „მერცხალი“ (მახარაძე) — „ლორი“ (კიროვაკანი), „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „კოლხეთი“ (ფოთი).

**16 ივნისი. ხუთშაბათი.** „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დინამო“ (სოხუმი).

**21 ივნისი. სამშაბათი. XIII ტური.** „კოლხეთი“ (ფოთი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „ნარტი“ (ჩერკესკი), „დინამო“ (სოხუმი) — „ისკრა“ (ერევანი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი).

**24 ივნისი. პარასკევი. XIV ტური.** „კოლხეთი“ (ფოთი) — „ნარტი“ (ჩერკესკი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „დრუჟბა“ (მაიკოპი).

#### II ლიგა

**29 ივნისი. ოთხშაბათი. XV ტური.** „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „ლუჩი“ (აზოვი) — — „მერცხალი“ (მახარაძე), „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „დინამო“ (სოხუმი), „ისკრა“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია).

**II ლიგა. IX ზონა. 9 ივნისი. ხუთშაბათი. VII ტური.** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი), „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი).

**12 ივნისი. კვირა. VIII ტური.** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი), „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი).

**26 ივნისი. კვირა. IX ტური.** „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი), „დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ლოკომოტივი“ (მინერალური წყლები) — „შევარდენი“-სპი (თბილისი).

**30 ივნისი. ხუთშაბათი. X ტური.** „მეტალურგი“ (რუსთავი) — „გოიაზანი“ (გაზახი), „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი), „დილა“ (გორი) — „სოკოლი“ (სარატოვი), „ბაკინეცი“ (ბაქო) — „შევარდენი“-სპი (თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში**

# ფინალური ტურნირი დაიწყო

თბილისში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**უნივერსიტეტი (თბილისი) — სოხუმი 109:103 (57:53).**

**უნივერსიტეტი:** ქართველიშვილი (20), ახვლედიანი (18), რევაზიშვილი (18), ტალაბაძე (17), ბარადაჩოვი (17), ქურდოვანიძე (8), ჯაფარიძე (6), ტურაშვილი (5).

**სოხუმი:** სულავა (33), სუშჩენკო (23), ჩუბინიძე (22), ქითავა (15), მოსკალენკო (10).

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ქუთაისი 103:90 (62:43).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** სანაძე (29), გაბრიჩიძე (22), გიორგობიანი (20), ცხვედიანი (11), კოტრიკაძე (8), ორმოცაძე (8), დაუშვილი (5).

**ქუთაისი:** დარსაძე (30), გუბელაძე (24), გოგსაძე (13), ანდღულაძე (12), ბუაძე (6), ხუჯაძე (5).

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 97:94 (50:55).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (37), კობეშავიძე (19), ფერიაშვილი (16), დადიანი (11), ჩერქეზიშვილი (9), შავლოხოვი (5).

**„სინათლე“:** ღონღაძე (28), ბერუაშვილი (26), გურასპაული (13), ქორქია (12), ძიძავა (11), სინჯარაძე (4).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 31 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (თბ.) | 22 | 20 | 2 | 42 |
| „სინათლე“ (თბ.) | 21 | 18 | 3 | 39 |
| სპი (თბილისი) | 22 | 17 | 5 | 39 |
| ქუთაისი | 21 | 16 | 5 | 37 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 21 | 15 | 6 | 36 |
| სოხუმი | 21 | 12 | 9 | 33 |

## „სპორტპროგნოზი“

**22-ე ტირაჟის შედეგები (29 მაისი)**

1—X, 2—1, 3—2, 4—1, 5—2, 6—2, 7—2, 8—2, 9—X, 10—X, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე





### გალავერი

**ქუთაისის** ავტოქარხნის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 3 საბავშვო ბაღში (გამგე ნ. მჟავანაძე) უკვე მეხუთე წელია არსებობს ნორჩ ტურისტთა კლუბი „ცეროდენა“, რომლის წევრები გამოცდილი მეთოდისტების ხელმძღვანელობით მთელი წლის განმავლობაში მეცადინეობენ, ეჩვევიან ტურიზმის „ანბანს“, ხოლო ოქტომბერსა და ივნისში აწყობენ ლაშქრობებს...

საკავშირო ჟურნალმა „ტურისტმა“ შარშან საკმაოდ მოზრდილი სტატია მიუძღვნა „ცეროდენას“ და მისი სახელი მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი გახდა. აქ არაერთი წერილი მოდის, სადაც სხვა საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, მასწავლებლები ითხოვენ გამოცდილების გაზიარებას, ხოლო ხაბაროვსკის ქალაქ ამურსკის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ნორჩ ქუთაისელ ტურისტებთან დიდი მეგობრობა დაამყარეს. ამ დღეებში კი პატარები კიდევ ერთხელ ეწვივნენ სათაფლიის ნაკრძალს, სადაც ტურისტულ მრავალჭირშიც გამართეს პაექრობა, ხოლო დაღლილებმა პატარა დიასახლისების მომზადებული სადილიც გემრიელად მიირთვეს...

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**
ქუთაისი.

● ● ●

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** „ცეროდენას“ წევრები ლაშქრობაში მიდიან; შეჯიბრება დაბრკოლების გადალახვაში; ბუნების წიაღში სადილიც გაცილებით გემრიელია.

ოთარ ბერეჩიკიძის ფოტოები.

# ფავორიტები — ბეწვის ხიდზე

**ამერიკელი** მიმომხილველების აზრით, ნბა-ს ჩემპიონატის მეოთხედფინალურმა მატჩებმა უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა: ნიშანდობლივია, რომ ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად ფავორიტების „ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა“ და „ბოსტონ სელტიქსის“ კალათბურთელებს ძალების სრული მობილიზაცია მოუხდათ.

მეოთხედფინალური სერიის შედეგები ასეთი იყო: „დალას მავერიქსი“ — „დენვერ ნაგითსი“ — 4:2, „დეტროიტ პისტონსი“ — „ჩიკაგო ბულსი“ — 4:1. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „უტაჰ ჯაზი“ — 4:3, „ბოსტონ სელტიქსი“ — „ატლანტა ჰოუქსი“ — 4:3.

უკანასკნელ მატჩებს დიდი აღმავლობით ატარებს „უტაჰ ჯაზი“, რომელმაც ჯერ „პორტლენ ტრეილ ბლეიზი“ დაამარცხა, ხოლო შემდეგ ღირსეული მეტოქეობა გაუწია თვით „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“. ოთხი მატჩის შემდეგ სერიის ანგარიში გათანაბრდა — 2:2. მეხუთე მატჩის გმირი იყო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი მაიკლ კუპერი. მან ჯერ მატჩის დამთავრებამდე 7 წამით ადრე წინ გაიყვანა „ლეიკერსი“ — 111:109, ხოლო შემდეგ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და თავის გუნდს ძნელი გამარჯვება მოუტანა. ბოლო ორი მატჩის შედეგი ასეთი იყო: 108:80. „უტაჰ ჯაზის“ სასარგებლოდ და 109:98 „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ სასარგებლოდ.

თუ რაოდენ დაძაბული და დრამატული იყო „ბოსტონ სელტიქსის“ და „ატლანტა ჰოუქსის“ პაექრობა, ამის შესახებ იმის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ გადამწყვეტი მეშვიდე მატჩის უკანასკნელ წუთზე ფარზე აღინიშნა 116:116 დენი ვინჯის სროლა ასცდა მიზანს, მაგრამ მსაჯმა დააჯარიმა ატალანტას მოთამაშე კევინ უილისი. 118:116 გაიმარჯვა „ბოსტონ სელტიქსმა“ (ამერიკელ მიმომხილველებს მსაჯის გადაწყვეტილება ძალზე საეჭვოდ მიაჩნიათ).

წლეულს ხშირად ისმოდა კითხვა ვინ შეაჩერებს მაიკლ ჯორდანს? „დეტროიტ პისტონსის“ დამაჯერებელმა გამარჯვებამ მეოთხედფინალში საბოლოო პასუხი გასცა ამ საკითხს. დეტროიტის ასეთი სრული უპირატესობა (4:1), ვფიქრობთ, ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „დალას მავერიქსი“, „ბოსტონ სელტიქსი“ — „დეტროიტ პისტონსი“. გამორიცხული არაა, რომ კვლავ გამეორდეს შარშანდელი ისტორია და ფინალში ძველი მეტოქეები გავიდნენ — „ბოსტონ სელტიქსი“ — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.

● ● ●

**სეზონის** მიწურულს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის მესვეურები უამრავ სტატისტიკურ ცნობებს ადგენენ. გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ სტატისტიკას, რომლის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია დაცვაში კარგი თამაში. პირველი ხუთეული: მაიკლ კუპერი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“), მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი“), კელვინ მაკჰეილი („ბოსტონ სელტიქსი“), როდნეი მაკგრეი და აკიმ ოლაჯუონი (ორივე — „ჰიუსტონ როკეტსი“), მეორე ხუთეული: ალვინ რობერტსონი („სან-ანტონიო სპურსი“), ლაფაიეტ ლევერი („დენვერ ნაგითსი), ბუკ უილიამსი („ნიუ-ჯერსი“ ნეთსი“), კარლ მელოუნი და მარკ ფატონი (ორივე — „უტაჰ ჯაზი“).

**მერაბ კალანდაძე.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი, № 2)**

**4 ივნისი**
**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის თასზე**
**„დინამო“ (თბილისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი)**

დასაწყისი 19.00 საათზე

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 2 ივნისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 2 და 3 ივნისს.

**გეპატიჟებათ**
**მძლეოსნობის სასახლე**

გამაჯანსაღებელი ფიზკულტურისა და ვარჯიშის მრავალფეროვან პროგრამას გთავაზობთ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლე. აქ თქვენი გემოვნებისა და გატაცების მიხედვით იოლად შეგიძლიათ ამოირჩიოთ სავარჯიშოდ ნებისმიერი სახის გამაჯანსაღებელი ჯგუფი. კერძოდ, ჩვენთან მუშაობს **ჯანმრთელობის, ათლეტური ტანვარჯიშის, მორბენალთა და მოსიარულეთა, მაგიდის ჩოგბურთის, რიტმული ტანვარჯიშის, ბრეიქ-დანსის, მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფები. შექმნილია აკრობატიკის ჯგუფები** საგანგებოდ ბავშვებისათვის, რომლებსაც გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობენ. კვალიფიციური მწვრთნელები გვყავს დანარჩენ ჯგუფებშიც.

გთავაზობთ სიახლესაც: 1 ივნისიდან იმუშავებს **სააბონემენტო ჯგუფები უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთათვის.** ამასთან აბიტურიენტებს შეუძლიათ ამოირჩიონ ხელსაყრელი დრო სავარჯიშოდ.

სააბონემენტო ჯგუფების წევრებისათვის იმუშავებს **მასაჟის, ჰიდრომასაჟის, წელისა და წერტილოვანი მასაჟის** კაბინეტები. აქ მსურველებს ჩაუტარდებათ **სპეციალური ვარჯიში და მასაჟი რადიკულიტისა და მარილების დაგროვების სამკურნალოდ.**

გარდა ამისა, მსურველებს შეუძლიათ გამოიძახონ კვალიფიციური მასაჟისტი და შინ ჩაიტარონ საჭირო პროცედურა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის გამზირი 95-ა, ტელ: 34-70-09.

**ინფორმაცია**

**ვილნიუსი.** 27 წლის კემეროველმა სპორტსმენმა ვიაჩესლავ ივანენკომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო 50 კმ სპორტულ სიარულში — 3 საათი, 44 წუთი და 0,64 წამი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვიტებსკელი ალექსანდრე პოტაშოვი და კიეველი ვიტალი პოპოვიჩი.

# წვიმას კორექტივი შეაქვს

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალისტი ქალთა შორის შტეფი გრაფი (გფრ) გახდა, რომელმაც 43 წუთში „გაანადგურა“ არგენტინელი ბეტინა ფულკო — 6:0, 6:1. ამ ეტაპზე მისი მეტოქე, როგორც ჩანს, მეორე არგენტინელი გაბრიელა საბატინი იქნება, რომლის მეოთხედფინალური მატჩი კანადელ ჰელენ კელეშისთან წვიმის გამო გადაიდო (მესამე პარტიაში საბატინი წინაა — 2:1).

ანრი ლეკონტისა (საფრანგეთი) და ბორის ბეკერის (გფრ) მეოთხედფინალური ბრძოლა წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყდა. ბოლოს ლეკონტმა ძნელ გამარჯვებას მიაღწია (6:7, 6:3, 6:1, 5:7, 6:4).

ვაჟთა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ანდრეი ჩესნოკოვსა (სსრ კავშირი) და პატ კეშს (ავსტრალია) შორის არ შედგა აგრეთვე წვიმის გამო.

წყვილთა ასპარეზობაში მარტინა ნავრატილოვამ და პამ შრაივერმა (ორივე — აშშ) უძლიერესი საბჭოთა დუეტი (ნატალია ზვერევა — ნატალია ბიკოვა) დაამარცხა — 6:3, 6:2.

# „საუკუნის მატჩს“ უწოდებენ

**როგორც** ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება, მძიმე წონის ორმა გამოჩენილმა მოკრივემ, მსოფლიო ჩემპიონმა მიკ ტაისონმა და მსოფლიოს ექსჩემპიონმა მაიკლ სპინქსმა ბოლოსდაბოლოს, დადეს შეთანხმება და მათ შორის მსოფლიო პირველობის მატჩი 27 ივნისისათვის ლას-ვეგასში (აშშ) დაინიშნა. სპინქსი, როგორც ცნობილია, დაუმარცხებელი ექსჩემპიონია. მას წოდება იმიტომ ჩამოერთვა, რომ არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მორიგ პრეტენდენტთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

ტაისონისა და სპინქსის მომავალ შეხვედრას, მიმომხილველები „საუკუნის მატჩს“ უწოდებენ, ორგანიზატორები არნახულ შემოსავალს — 70 მილიონ დოლარს მოელიან. ტაისონის ჰონორარი 12 500 000 დოლარია, სპინქსი კი, როგორც ექსჩემპიონი, უფრო ნაკლებს — 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05369